

შპს „მერფი ყაზბეგი“
ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „მერფი ყაზბეგი“
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნა.....	7-14

შპს „მერფი ყაზბეგი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართული ლარი)

	2021	2020
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	9985958	11,355,420
არამატერიალური აქტივები	1796	2,694
სულ გრძელვადიანი აქტივები	9,987,754	11,358,114
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	107754	107,787
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	326176	351,377
ფული და ფულის ექვივალენტები	98149	231,240
საგადასახადო აქტივები	69306	193,609
სულ მიმდინარე აქტივები	601385	884,013
სულ აქტივები	10,589,139	12,242,127
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	4938279	4,914,905
გადაფასების რეზერვი	6,170,336	6,308,338
ანარიცხის რეზერვი	-	(425,958)
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	(2,606,516)	(1,321,449)
სულ კაპიტალი	8,502,099	9,475,836
ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2087040	2,766,290
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2,087,040	2,766,290
სულ ვალდებულებები	2,087,040	2,766,290
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	10,589,139	12,242,126

შპს „მერფი ფაზბეგი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	2021	2020
შემოსავალი	2,441,034	3,292,658
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		-
საერთო მოგება	2,441,034	3,292,658
გაუფასურების ხარჯი	-	-
არასაოპერაციო ხარჯი	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,214,147)	(2,832,622)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(508,370)	2,451,833
საკუთრო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	(477)	213
საოპერაციო მოგება	(1,281,960)	2,912,082
ფინანსური ხარჯი	(3,107)	(4,328)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(1,285,067)	2,907,754
მოგების გადასახადი		-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	(1,285,067)	2,907,754
სხვა სრული შემოსავლები		-
მთლიანი შემოსავალი	(1,285,067)	2,907,754

„შპს მერფი ყაზბეგი“

კაპიტალში მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	ანარიცხების რეზერვი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2019	5,237,705	(4,815,480)	6,894,614		7,316,840
საწესდებო კაპიტალი	(322,800)				(322,800)
პერიოდის მოგება		2,907,754			2,907,754
ანარიცხის რეზერვი				(425,958)	(425,958)
გადაფასების რეზერვი		586,275	(586,275)		-
31 დეკემბერი 2020	4,914,905	(1,321,451)	6,308,339	(425,958)	9,475,836
საწესდებო კაპიტალი	23,374				23,374
პერიოდის მოგება		(1,285,067)			(1,285,067)
ანარიცხის რეზერვი				425,958	425,958
გადაფასების რეზერვი			(138,002)		(138,002)
31 დეკემბერი 2021	4,938,279	(2,606,518)	6,170,337	-	8,502,099

შპს „მერფი ყაზბეგი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2021	2020
მოგება დაბეგვრამდე	(1,285,067)	2,907,754
ცვეთა და ამორტიზაცია	1000434	1,027,699
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯი	-138002	
ვალდებულებით შესასრულებელი ქონების ჩამოწერა		
საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(477)	213
საოპერაციო ფულადი ნაკადების საბრუნავ კაპიტალში ცვლილებების განხორციელების შედეგად:		
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში ზრდა/შემცირება	33	25,153
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ზრდა/შემცირება	25,201	163,374
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ზრდა/შემცირება	(679,250)	(2,869,857)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში ზრდა/შემცირება	124,303	(193,609)
ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადები	(952,826)	1,060,728
გადახდილი მოგების გადასახადი		
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(952,826)	1,060,728
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ზრდა/შემცირება	369,028.24	(188,094)
არამატერიალური აქტივების ზრდა/შემცირება	898	898
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	369,926	(187,196)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	23,374	(322,800)
ანარიცხის რეზერვი	425,958	(425,958)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	449,332	(748,758)
საკუროს სხვაობის გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტზე	477	(213)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება	(133,091)	124,561
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	231,240	106,679
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	98,149	231,240

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 22 იანვარს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ვლადიმერ კლიმოვიჩი

მთავარი ბუღალტერი

თამარ ყაჭეიშვილი



შპს „მერფი ყაზბეგი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მერფი ყაზბეგი“ (400152106) შექმნილია „მეწარმეთა შესახებ კანონის“ და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე 2015 წლის 2 სექტემბერს, თბილისში, საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი მარი ბროსის #2.

კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“-ს მიმართულებით მოძრავი სატვირთო ავტომანქანების განთავსება სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფანშეტში არსებულ „მერფი ყაზბეგის“ TIR ავტოსადგომზე.

კომპანიის წილის მფლობელები არიან:

ელიზბარ ოქრუაშვილი	33%
ალიევ ტაჰირ ნადირ ოღლუ	32%
დამიერ ელიარ აგაბაღა ოღლუ	35%

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - ალიევ ტაჰირ ნადირ ოღლუ;
გენერალური დირექტორი: ვლადიმერ კლიმოვიჩი.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ მცირე და საშუალო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისთვის და მოვლენებისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითებების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2021 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რადგან კომპანიის ხელმძღვანელობას სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია

საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი მომსახურებიდან და მიწოდებიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან/მომსახურების გაწევიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე პერიოდის გადასახადის ვალდებულება გამოუითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მომედებდა ან მოქმედებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშზე და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

- ა) მისი მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟის და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისთვის აქტივის გამოსაყენებლად;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისგან განსხვავებული საქმიანობისთვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღება ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც საოპერაციო ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები	-----20-45
ტერიტორიის კეთილმოწყობა	-----10-12
მანქანა-დანადგარები და სხვა აღჭურვილობა	-----4-8
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	-----2-5
სატრანსპორტო საშუალებები	-----3-5

ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებაზე შეფასებული ნარჩენი ღირებულების გამოკლებას. აქტივების ცვეთა ხდება მათი ექსპლუატაციაში მიღების მომდევნო თვიდან.

თავდაპირველი აღიარება ამა თუ იმ ძირითად საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელობის ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ნამეტი შემოსავალი ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებული წმინდა შემოსავლისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შრის სხვაობა) შედის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივების აღიარების შეწყვეტა.

მშენებარე აქტივები მითითებულია თვითღირებულებით და არ გაუფასურდება იმ დრომდე, სანამ ხელმისაწვდომია გამოყენებისთვის და რეკლამისირებულია ძირითადი საშუალების შესაბამის ჯგუფში. საიჯარო გაუმჯობესებების ამორტიზაცია ხდება შესაბამისი საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად და მოსალოდნელი საიჯარო ვადის მიხედვით, თუ უფრო მოკლევადიანია. შეკვეთა-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება შემცირების მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა და ვალდებულებების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 3	ტერიტორიის კეთილმოწყობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	ნაგებობა	ოფისის აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	მანქანა	ავიჯი სა სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება								
31 დეკემბერი, 2019	8,138,927.00	403,199.00	2,928,423.00	266,210.00	457,456.00	36,996.00	72,054.00	12,303,265.00
დამატება		40,254.00	133,028.00	11,785.00	332.00		2,695.00	188,094.00
ჩამოწერა								
31 დეკემბერი, 2020	8,138,927.00	443,453.00	3,061,451.00	277,995.00	457,788.00	36,996.00	74,749.00	12,491,359.00
დამატება	-			1,105			280	1,384.76
ჩამოწერა	-				(425,772.00)			(425,772.00)
31 დეკემბერი, 2021	8,138,927.00	443,453.00	3,061,451.00	279,100.10	32,016.00	36,996.00	75,028.66	12,066,971.76
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი, 2019		-	(43,066.00)	(34,012.00)	(9,250.00)	(5,397.00)	(16,514.00)	(108,239.00)
ცვეთის ხარჯი	(785,452.00)		(89,200.00)	(62,050.00)	(61,749.00)	(9,249.00)	(20,000.00)	(1,027,700.00)
31 დეკემბერი, 2020	(785,452.00)	-	(132,266.00)	(96,062.00)	(70,999.00)	(14,646.00)	(36,514.00)	(1,135,939.00)
ცვეთის ხარჯი	(813,892.70)	(4,025.40)	(91,598.93)	(57,552.02)	(6,390.20)	(9,249.00)	(17,725.60)	(1,000,434)
ცვეთის ამორტიზაცია					55,359.00			
31 დეკემბერი, 2021	(1,599,344.70)	(4,025.40)	(223,864.93)	(153,614.02)	(22,030.20)	(23,895.00)	(54,239.60)	(2,136,372.84)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი, 2019	8,138,927.00	403,199.00	2,885,357.00	232,198.00	448,206.00	31,599.00	55,540.00	12,195,026.00
31 დეკემბერი, 2020	7,353,475.00	443,453.00	2,929,185.00	181,933.00	386,789.00	22,350.00	38,235.00	11,355,420.00
31 დეკემბერი, 2021	6,539,582.30	439,427.60	2,837,586.07	125,486.08	9,985.80	13,101.00	20,789.06	9,985,958

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-12-21	31-12-20
ნაღდი ფული სალაროში	95,825	197,847
ეროვნული ვალუტა ბანკში	2324	33,393
უცხოური ვალუტა ბანკში		-
სულ	98,149	231,240

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-12-21	31-12-20
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	326,176	351,377
სულ	4,813,487	2,957,693

	31-12-21	31-12-20
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	326,176	351,377
სულ	326,176	351,377

6. მარაგები

	31-12-21	31-12-20
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	107,754	107,787
სულ	107,754	107,787

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-12-21	31-12-20
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,022,567	2,338,840
საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხი	-	425,958
საგადასახადო ვალდებულებები	61,315	-
გადასახდელი ხელფასები	710	(956)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2,448	2,448
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,087,040	2,766,290

8. შემოსავალი

შემოსავალი	31-12-21	31-12-20
შემოსავალი ტირ პარკიდან	2,268,571	3,149,929
შემოსავალი იჯარიდან	122,830	110,199
სხვა შემოსავალი	49,633	32,530
სულ შემოსავალი	2,441,034	3,292,658

9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	31-12-21	31-12-20
ცვეთა და ამორტიზაცია	1,001,331	1,028,597
მენეჯმენტ მომსახურება	752,136	772,907
შრომის ანაზღაურება	534,822	432,297
კომუნალური ხარჯები	227,403	141,782
საიჯარო ქირა	91,842	95,659
კოვიდ 19-თან დაკავშირებული ხაჯები	105,533	91,235
რემონტის ხარჯი	64,351	85,085
საექვო და უიმედო მოთხოვნის გაუფასურების რეზერვის ცვლილება	-	61,203
საკონსულტაციო ხარჯები	53,434	48,030
დაზღვევა	-	33,028
სხვა ხარჯები	166,994	18,598
საგადასახადო ხარჯები	193,218	7,512
კომუნიკაციის ხარჯები	8,414	7,224
თანამშრომელთა ეკვიპირების ხარჯი	575	6,263
რეკლამის ხარჯები		1,513
საკანცელარიო ხარჯი	1,431	930
მივლინების ხარჯი	1,249	390
წარმომადგენლოთი ხარჯი	2,121	369
ტრანსპორტირების ხარჯი	9,293	
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	3,214,147	2,832,622

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

11. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2023 წლის 22 იანვარს